სატელევიზიო არხების წინასაარჩევნო მონიტორინგი

16 ივნისი-16 ივლისი 2013

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით CRRC-მ განაახლა მედია მონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის" ფარგლებში. მონიტორინგი გაგრძელდება 15 მაისიდან 15 ნოემბრამდე და მოიცავს საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე და შემდეგ კერძო არხებზე: რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, კავკასია და მეცხრე არხი. მოცემული ანგარიში მოიცავს მედია მონიტორინგის შედეგებს 16 ივნისიდან 16 ივლისის ჩათვლით.

ტელევიზიების საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- 16 ივნისიდან 16 ივლისამდე პერიოდში არხებმა დაიწყეს საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქება. თუმცა, ამ ეტაპზე მათთვის განკუთვნილი დრო საკმაოდ მცირეა სხვა სუბიექტებისთვის დათმობილ დროსთან შედარებით.

- თითქმის ყველა არხზე შეინიშნებოდა ანალიტიკური სიუჟეტების სიმცირე. ზოგ მაუწყებელზე უფრო მეტად, ზოგზე კი უფრო ნაკლებად, მაგრამ, საერთო ჯამში, ხშირი იყო მშრალი და მხოლოდ ფაქტის გადმოცემით შემოფარგლული სიუჟეტები.

- მონიტორინგის ქვეშ მყოფ ექვს არხზე (აჭარის ტელევიზიის გარდა) გამოიკვეთა 5 ძირითადი სუბიექტი, რომლებსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება, პრეზიდენტი და პრემიერ მინისტრი.

- 16 ივნისიდან 16 ივლისის ჩათვლით პერიოდში თითქმის ყველა არხზე დაფიქსირდა ტენდენცია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი შედარებით

მეტად შუქდებოდა უარყოფით კონტექსტში; ხოლო, პრემიერ მინისტრი უფრო მეტად დადებით კონტექსტში. ეს ტენდენცია ყველაზე მეტად მეცხრე არხსა და იმედზე გამოიკვეთა.

- აჭარის ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვება ძირითადად აქცენტს კვლავ რეგიონის ადგილობრივ მოვლენებზე აკეთებდა. აქედან გამომდინარე, დათმობილი დროსი მიხედვით აჭარის მთავრობა პირველ სამეულში მოხვდა. ამასთან, რეგიონში არსებული პრობლემების გაშუქებისას ხშირად დადებითად იყო წარმოჩენილი ადგილობრივი ხელისუფლება და ნაკლებად ისმოდა კრიტიკა მათ მიმართ.

- საზოგადოებრივი მაუწყებელი უმეტესწილად ნეიტრალურად აშუქებდა მოვლენებს. ივნისისგან განსხვავებით ივლისში გახშირდა სიუჟეტებში მეტი ანალიზის წარმოდგენის შემთხვევები, სადაც თემები საკმაოდ ამომწურავად, საჭირო განმარტებებითა და შეფასებებით იყო გაშუქებული.

- რუსთავი 2-ზე შეიმჩნეოდა მცდელობა, რომ პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მაქსიმალურად ნეიტრალურად წარმოჩენილიყვნენ. აქედან გამომდინარე, უარყოფითი და დადებითი გაშუქების წილი ყველა სუბიექტის მიმართ თითქმის თანაბარია. გამონაკლისია მხოლოდ გიორგი მარგველაშვილი, რომელიც, ამ პერიოდში, სტუდიაში იმყოფებოდა სტუმრად და შესაბამისად პირდაპირი საუბრისა და დადებითი ტონის შედარებით მაღალი წილი აქვს.

- 16 ივნისი - 16 ივლისის პერიოდში ერთ-ერთი აქტუალური საკითხი ბაგრატის ტაძრის UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან ამოღება იყო, რომელიც, 19 ივნისს, მონიტორინგის ქვეშ მყოფი ექვსი არხის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქდა. (აჭარის ტელევიზიამ თავის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში აღნიშნული თემა საერთოდ არ აჩვენა). აღსანიშნავია, რომ ეს ამბავი ყველა არხზე სხვადასხვა კუთხით გაშუქდა და განსხვავებულ დეტალებზე გაკეთდა აქცენტი. საბოლოო ჯამში, მაყურებელს აღნიშნულთან დაკავშირებით

განსხვავებული შთაბეჭდილება და ინფორმაცია დარჩებოდა იმის მიხედვით, რომელ არხზე უყურა საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებას.[1]

მონიტორინგის ამ პერიოდს დაემთხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა მაუწყებლებში და მონიტორინგის ქვეშ მყოფ თითქმის ყველა არხზე არაერთხელ გაშუქდა. მაგალითად: შსს-ს მიერ სამეგრელოში სამალავებში აღმოჩენილი ფარული ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, ბაგრატის ტაძრის UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიიდან ამოღების საკითხი, თბილისის მერიის მაღალჩინოსნების დაკავება, ანდერს ფოგ რასმუსენის ვიზიტი საქართველოში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრაიმერი, პრემიერ მინისტრის პრესკონფერნეცია, ვლადიმერ ბედუკაძის საქმე და სხვა.

აღნიშნული თემების განხილვისას ყველა არხზე გამოიკვეთა 3 ძირითადი სუბიექტი, რომლებსაც ყველა არხმა (აჭარის ტელევიზიის გარდა) ერთნაირი მიმდევრობით დაუთმეს დრო. დათმობილი დროის მიხედვით ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 6 არხზე პირველ ადგილას მოხვდა, მთავრობა და კოალიცია ქართული ოცნება მეორე და მესამე ადგილას. ხუთეულში ყველგან არიან პრეზიდენტი და პრემიერ მინისტრი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ივლისიდან სიუჟეტები წინა პერიოდებისგან განსხვავებით უფრო მეტად ანალიტიკური იყო. თუმცა, მაინც გვხდებოდა სიუჟეტები, სადაც ინფორმაცია მხოლოდ ფაქტების მშრალი გადმოცემით შემოიფარგლებოდა. აღსანიშნავია, რომ ზოგი თემა საკმაოდ ამომწურავად, საჭირო განმარტებებითა და შეფასებებით იყო წარმოდგენილი. მაგალითად, ინფორმაცია ფარულ სამალავებზე სხვადასხვა კუთხიდან და ანალიტიკურად გაშუქდა. გირგვლიანის საქმე ოთხი დღის განმავლობაში შუქდებოდა ყოველდღიურად და ძალიან ვრცლად. ზოგადად, სიუჟეტები ამ თემაზე არცერთი მხარის მიმართ ტენდენციური არ იყო. ივლისიდან გახშირდა სიუჟეტებში მეტი ანალიზის

[1] ამ სიუჟეტების ანალიზი შეგიძლიათ იხილოთ ანგარიშის ბოლოს.

წარმოდგენის შემთხვევები. მაგალითად, სიუჟეტები სამშენებლო კომპანია „ცენტრპოინტის“ საქმეზე საკმაოდ ანალიტიკურად გაშუქდა. მიუხედავად ამისა, პირველ არხზე გვხვდებოდა სიუჟეტები, სადაც აზრთა მრავალფეროვნებისა და მხარეების წარმოდგენის მხრივ ბალანსი დარღვეული იყო, მოვლენა მხოლოდ ერთი მხრიდან იყო გაშუქებული ან ამბავი სრულად და ამომწურავად გადმოცემული არ იყო.

რაც შეეხება სიუჟეტებში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების ტონს, უმეტესად ჭარბობს ნეიტრალური ტონი. დადებითი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პრემიერ მინისტრისა და პრეზიდენტის მიმართ დაფიქსირდა - 12 და 10 პროცენტი. პრემიერ მინისტრის დადებითი გაშუქების ერთ-ერთი მაგალითია სიუჟეტი ისრაელში მისი ვიზიტის შესახებ, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი ივანიშვილის სტუმრობა. თუმცა, ამასთან, პრეზიდენტს უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს - 23 პროცენტი. ისევე როგორც, ერთიან ნაციონალური მოძრაობას - 16 პროცენტი.



აჭარის ტელევიზია

აჭარის ტელევიზიის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, მაისი-ივნისის პერიოდის მსგავსად ივნისი-ივლისშიც, ძირითადად ადგილობრივი ამბები შუქდებოდა, ადგილობრივი მთავრობის საქმიანობა. ხშირად მთელი კვირის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილობრივ ამბავს და მის განვითარებას გადმოსცემდნენ. გამოშვება ყოველთვის ადგილობრივი ამბით იწყებოდა, შემდეგ შეიძლება, მოჰყოლოდა ის მთავარი ამბავი, რაც სხვა არხებზე გამოშვების პირველ ნომრად გადიოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დათმობილი დროის მიხედვით 28 პროცენტით პირველ ადგილას მაინც საქართველოს მთავრობა მოხვდა.

აჭარის ტელევიზიაზე ნაკლებად შუქდებოდა თბილისის ამბები. მაგალითად, თბილისის მერიის მაღალჩინოსნების დაკავება საერთოდ არ იყო ნახსენები საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში. სამეგრელოში ნაპოვნი ფარული ჩანაწერების ამბავი ერთხელ გაშუქდა. თუმცა, არაფერი თქმულა იმაზე, რომ ეს ჩანაწერები ჟურნალისტებს აჩვენეს. ასევე, საერთოდ არ გასულა სიუჟეტი ბედუკაძეზე მაშინ, როცა სხვა არხებზე ბედუკაძის თემაზე საინფორმაციო გამოშვებებში არაერთი სიუჟეტი მომზადდა. სიუჟეტებს ძირითადად აკლდათ ანალიზი და ხშირად ინფორმაცია არ იყო ამომწურავად გადმოცემული. მაგალითად, რასმუსენის ვიზიტი საქართველოში საკმაოდ აქტიურად გაშუქდა. თუმცა, არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, თუ რატომ ჩამოვიდა იგი საქართველოში, რა იყო მისი ვიზიტის მიზანი და შედეგი.

რაც შეეხება გაშუქების ტონს სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურად შუქდებოდა, თუმცა შეიმჩნეოდა ტენდენცია, რომ მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება, პრემიერ მინისტრი და აჭარის მთავრობა სხვა სუბიექტებთან შედარებით უფრო დადებით კონტექსტში გაშუქებულიყო.



აჭარის ტელევიზიის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ უბედური შემთხვევების გაშუქების დროს არ არის დაფარული გვამების სახეები, ნაჩვენებია სისხლის კადრები. მსხვერპლისთვის სახის დაფარვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კადრები შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერაა მიწოდებული. ასევე, ერთ-ერთ სიუჟეტში ახალი პირადობის მოწმობების შესახებ დაფარული არ იყო მოქალაქის პირადი ნომერი.

კერძო ტელევიზიები

2013 წლის მონიტორინგის მეორე თვის შედეგებით (16 ივნისი - 16 ივლისი) საინფორმაციო გამოშვებებში წინასაარჩევნო დაძაბულობა ჯერ ისევ არ შეინიშნებოდა. თუმცა, კერძო არხების ნაწილზე გამოკვეთილი იყო ტენდენციურობა ორი ძირითადი პოლიტიკური ძალიდან ერთ-ერთის მიმართ.

რუსთავი 2

2012 წლისგან განსხვავებით რუსთავი 2 ნაკლები სიხშირითა და უკიდურესობებით, მაგრამ მაინც გამოკვეთილად ტენდენციური იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ და მმართველი გუნდის საწინააღმდეგოდ. საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად გვხვდებოდა მთავრობისა და პრემიერ მინისტრის კრიტიკა და უარყოფითი გაშუქება. ანგარიშის მოცემულ პერიოდში ერთ-ერთი თემა, რის გარშემოც მთავრობა და პრემიერი უარყოფითად წარმოჩინდა, საქართველოს საგარეო პოლიტიკა იყო. ამ თემების გაშუქებისას პოლიტიკური დევნისა და დემოკრატიისგან დაშორების კონტექსტი იყო შექმნილი. გარდა ამისა, ანგარიშის მოცემულ პერიოდში გავიდა უარყოფითი სიუჟეტები მთავრობისა და კოალიციის წევრების შესახებ.

ამის პარალელურად რუსთავი 2-ის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში კვლავაც დიდი დრო ეთმობოდა პრეზიდენტის გამოსვლებს. მისი პირდაპირი საუბრის წილი (61 პროცენტი) ყველაზე მაღალია სხვა სუბიექტებს შორის. პრემიერ მინისტრს კი, რომელსაც დაახლოებით იგივე დრო დაეთმო, რაც პრეზიდენტს, პირდაპირი საუბრის წილი მხოლოდ 43 პროცენტი აქვს.



გარდა ამისა, სიუჟეტები ისეთი კუთხით იყო წარმოდგენილი, რომ პრეზიდენტი და ნაციონალური მოძრაობის ლიდერები მაქსიმალურად ნეიტრალურად წარმოჩენილიყვნენ. მაგალითად, 1 ივლისის სიუჟეტში კოკი იონათამაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, რომ იონათამაშვილის წერილი პრეზიდენტმა გამოიტანა საჯაროდ. უბრალოდ, თქვეს, რომ „წერილი გასაჯაროვდა“.

რუსთავი 2-ის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში დაიწყო საპრეზიდენტო კანდიდატებზე წინასაარჩევნო სიუჟეტების მომზადება. ყველაზე მეტი დრო მათ შორის გიორგი მარგველაშვილს დაეთმო, რადგან სტუდიაში იყო მიწვეული. შესაბამისად პირდაპირი საუბრისა და დადებითი ტონის ყველაზე მაღალი წილი ჰქონდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რუსთავი 2-ზე უარყოფითი ტონის წილები თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული ყველა სუბიექტს შორის.



ცალკე აღსანიშნავია, 6 ივლისის სიუჟეტი „ახალი ნარკოტიკი“, რომელიც ეხებოდა ნარკოტიკული ზემოქმედების წამლებზე აკრძალვის არარსებობას. თუმცა, თავისმხრივ, სიუჟეტის განმავლობაში ჟურნალისტმა ბევრჯერ ახსენა კონკრეტული წამლის დასახელება, ჩამოთვალა მისი მიღების შემთხვევაში შესაძლო რეაქციები, აჩვენეს შეფუთვა და ფასიც კი.

იმედი

16 ინისიდან 16 ივლისის ჩათვლით პერიოდში იმედი ყველა მთავარ და მნიშნვნელოვან მოვლენას გამოეხმაურა და მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გააშუქა. ამ პერიოდში დაფიქსირდა ტენდენცია რომ პირველი რამდენიმე სიუჟეტი, დღის მთავარ ამბებთან დაკავშირებით კეთდებოდა შედარებით ვრცლად და უფრო ტენდენციურად, ხოლო შემდგომი სიუჟეტები ძალიან მოკლე და მშრალი იყო. გასულ სიუჟეტებში შეინიშნებოდა პრეზიდენტისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის უარყოფითად გაშუქების ტენდენცია. საერთო კონტექსტი ჟურნალისტების ტექსტთან ერთად ხშირად უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნიდა ამ ორი სუბიექტის მიმართ. მაგალითად 1 ივლისის სიუჟეტში, კოკი იონათამიშვილისა და პრეზიდენტის წერილებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ თავად იონათამიშვილის კომენტარიც ნაჩვენები იყო, სიუჟეტის საერთო კონტექსტი და ჟურნალისტის ტექსტიც საკმაოდ უარყოფითად წარმოაჩენდა მას. ასევე, 2 ივლისის სიუჟეტი არჩევნების თარიღთან დაკავშირებით საკმაოდ უარყოფითად წარმაოჩენდა პრეზიდენტს. სიუჟეტში პრეზიდენტზე იყო აქცენტი, რომ ის გამიზნულად ცვლის თარიღს პირადი მოსაზრებების გამო, და არა ამ ცვლილების ობიექტურ შედეგებზე.

მთავრობა და პრემიერ მინისტრი უფრო ნეიტრალურად შუქდებოდა ვიდრე დადებითად, თუმცა, მიუხედავად ამისა, 16 ივნისიდან 16 ივლისის ჩათვლით პერიოდში პრემიერ მინისტრს დადებითი გაშუქების ყველაზე მაღალი წილი - 20 პროცენტი ჰქონდა. აქვე აღსანიშნავია, რომ იყო შემთხვევები, როდესაც მთავრობა და პრემიერ მინისიტრი გაკრიტიკებული იყო და საერთო შთაბეჭდილება უფრო უარყოფითი რჩებოდა ვიდრე ნეიტრალური ან დადებითი.



მაესტრო

მაესტროზე 16 ივნისიდან 16 ივლისის ჩათვლით მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გაშუქდა ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ სიუჟეტები ნაკლებად ტენდენციური იყო და უფრო ხშირად ამბავს გადმოსცემდნენ ნეიტრალურად, ანალიტიკურად და დაბალანსებულად. მაგალითად მერიის თანამშრომლების დაკავების შესახებ ინფორმაცია ივნისის ბოლოს რამდენიმე დღის განმავლობაში შუქდებოდა და მოცემული იყო ამომწურავი ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით. ხშირად განმარტებული და ახსნილი იყო ყველა დეტალი ისე, რომ მაყურებლისთვის არაფერი რჩებოდა გაურკვეველი. თუმცა, ზოგიერთ სიუჟეტში რესპონდენტთა ბალანსი დარღვეული იყო და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები უარყოფითად იყვნენ წარმოჩენილი.

ასევე დეტალურად და ამომწურავად შუქდებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრაიმერი. ძალიან ვრცლად და თანმიმდევრულად იყო გადმოცემული ინფორმაცია,

ნაჩვენები იყო ის საკითხები რომელთან დაკავშირებითაც გაიმართა დებატები მონაწილეებს შორის, იყო მათი გამოსვლების ნაწყვეტები, სიუჟეტებში ასევე ნაჩვენები იყო პრაიმერის პარალერულად შენობის გარეთ მიმდინარე საპროტესტო აქციებიც.

ასევე დეტალურად და ძალიან ვრცლად იყო გადმოცემული ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტი საქართველოში. სიუჟეტში (27 ივნისი) მოცემული იყო ყველა ის შეხვედრა, რაც ორი დღის განმავლობაში გაიმართა. ნაჩვენები იყო პოლიტიკოსებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სიუჟეტი არ იყო ანალიტიკური და განმარტებითი. გაუგებარი რჩებოდა, მაგალითად, რა იყო მიზანი ამ ვიზიტის ან რა მნიშვლენლობა აქვს მსგავს ვიზიტს საქართველოსთვის. არ იყო წარმოდგენილი ექსპერტების შეფასება აღნიშნულ ვიზიტთან დაკავშირებით. სიუჟეტი მხოლოდ მშრალ ფაქტებს წარმოადგენდა. თუმცა, ბალანსი ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების შეფასებებს შორის დაცული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ბალანსი რესპონდენტებსა და წარმოდგენილ მოსაზრებებს შორის ხშირად დაცულია, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და პრეზიდენტს უარყოფითი ტონით გაშუქების წილი სხვა სუბიექტებთან შედარები მაინც მაღალი აქვთ: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 13 პროცენტი, პრეზიდენტი - 12 პროცენტი. ამასთან, პრემიერ მინისტრის დადებითი ტონის წილიც სხვებთან შედარებით მაღალი იყო - 15 პროცენტი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ განსხვავებული ტონი სიუჟეტებში მეტწილად განპირობებული იყო გადმოცემული ფაქტებითა და რესპონდენტების კომენტარებით, და არა ჟურნალისტების ტექსტით.



კავკასია

კავკასიაზე 16 ივნისიდან 16 ივლისის ჩათვლით პერიოდში გასულ სიუჟეტებზე, რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტებით დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ მთავარი საინფორმაციო გამოშვება ნაკლებად ტენდენციური და მიკერძოებული იყო რომელიმე მხარის მიმართ. სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურად შუქდებოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და პრეზიდენტს ყველაზე მაღალი უარყოფითი გაშუქების წილი აქვთ: 14 და 26 პროცენტი. რაც მეტწილად რესპონდენტების კომენტარებით არის განპირობული და არა ჟურნალისტის ტექსტით.



16 ივნისიდან 16 ივლისის ჩათვლით პერიოდში სიუჟეტები ნაკლებად ანალიტიკური იყო და ხშირად მხოლოდ მშრალ ფაქტებს გადმოსცემდა.. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 1 – 7 ივლისის პერიოდში ანალიტიკური სიუჟეტებიც გავიდა. მაგალითად, სიუჟეტი საყოველთაო ჯანდაცვაზე გასაგებად და დაწვრილებით გადმოსცემდა ინფომაციას ახალ პროგრამაზე, ახსნილი იყო რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ამ პროგრამას. წარმოდგენილი იყო როგორ უნდა ისარგებლოს მოქალაქემ ამ პროგრამით. ასევე, მოცემული იყო წინაპირობა, სადაც ძველი, აქამდე არსებული, პროგრამის შესახებ იყო საუბარი.

მეორეს მხრივ, კავკასიაზე ბევრი სხვა სახის ხარვეზი იყო. იყო შემთხვევები, როდესაც ინფორმაცია გადამოწმებული არ იყო და მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკოსის განცხადებაზე დაფუძნებით იყო გადმოცემული როგორც ფაქტი. მაგალითად, 17 ივნისის სიუჟეტი აგებული იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციაზე იმის შესახებ, რომ ქართული ოცნება ქუთაისის მერიაში თანამშრომლების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებას გეგმავდა. სიუჟეტი ნეიტრალური იყო, მაგრამ დაყრდნობილი იყო მხოლოდ ამ განცხადებაზე. ჟურნალისტს არ ჰქონია მცდელობა მათი ინფორმაცია გადაემოწმებინა ქუთაისის მერიაში ან ქართული ოცნების რომელიმე წევრის

კომენტარი მოეპოვებინა. ამას გარდა, გავიდა სიუჟეტები, რომლებშიც ბოლომდე არ იყო განმარტებული ინფორმაცია და რჩებოდა კითხვები რომელზეც პასუხი სიუჟეტში არ იყო ნაჩვენები.

კავკასიაზე ასევე ხშირი იყო ტექნიკური ხარვეზები, როდესაც ანონსის სათაური იყო არასწორი, ჟურნალისტის ან რესპონდენტის ხმა წყდებოდა, ან არაფერი ჩანდა და მხოლოდ ხმა ისმოდა.

მეცხრე არხი

მეცხრე არხზე 16 ივნისიდან 16 ივლისის ჩათვლით პერიოდში მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტების ნაწილი ანალიტიკური იყო და მაყურებლისთვის გასაგებად და ამომწურავად გადმოსცემდა ინფორმაციას. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც სიუჟეტებში რესპონდენტების ნაკლებობა შეიმჩნეოდა. რაც, გაშუქებული თემის მხოლოდ ერთი მხრიდან წარმოჩენას გულისხმობდა და მაყურებელს არ ეძლეოდა საშუალება განხილული საკითხის გარშემო სხვადასხვა მოსაზრება მოესმინა. 16 ივნისიდან 16 ივლისის ჩათვლით პერიოდში გვხდებოდა ისეთი სიუჟეტები, სადაც გადმოცემული ამბავი ბოლომდე არ იყო მოთხრობილი, აკლდა წინაპირობა ან არ იყო პასუხი გაცემული კითხვაზე „რატომ?“.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სიუჟეტებში შეიმჩნეოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის უარყოფითად წარმოჩენისა და მეორეს მხრივ, პრემიერ მინისტრის დადებითად წარმოჩენის ტენდენცია. ამასთან აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში შედარებით იშვიათად ხვდებოდა, ისევე როგორც პრემიერ მინისტრი. მათი პირდაპირი და ირიბი საუბრის წილები ძალიან მსგავი იყო, ორივეს საკმაოდ დაბალი პირდაპირი საუბრის წილი ჰქონდა (34 და 35 პროცენტი). თუმცა, მათი გაშუქების ტონი საკმაოდ განსხვავებულია. პრეზიდენტის გაშუქების შემთხვევაში ხშირი იყო მისი უარყოფით კონტექსტში წარმოჩენა, მაშინ, როცა პრემიერ მინისტრი ხშირად დადებით კონტექსტში შუქდებოდა. ეს ტენდენცია ძირითადად მონტაჟის, სიუჟეტების რიგითობითა და ჟურნალისტების ტექსტით იყო გამოწვეული.

ასევე, დაბალი პირდაპირი საუბრის წილი აქვს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილას მოხვდა. ამასთან, ამ სუბიექტს საკმაოდ მაღალი უარყოფითი ტონით გაშუქების წილი აქვს.





დასკვნა

16 ივნისიდან 16 ივლისის ჩათვლით პერიოდის შედეგებით შეიძლება, ითქვას, რომ ტელევიზიები ჯერ საარჩევნო რეჟიმზე არ გადასულან, თუმცა ნელ-ნელა დაიწყეს საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქება. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში ჯერ ისევ მთავარი პოლიტიკური პარტიები, მთავრობა, პრეზიდენტი და პრემიერ მინისტრი რჩებიან. მონიტორინგის ქვეშ მყოფი სატელევიზიო არხები თავის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად ყველა მნიშვნელოვან ამბავს აშუქებდნენ, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა არხები თავისი საინფორმაციო პოლიტიკის შესაბამისად ერთსა და იმავე ამბავს სხვადასხვა კუთხით და შინაარსით აშუქებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრი ტენდენციურობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ არ გამოვლენილა, რაშიც იგულისხმება როგორც რაოდენობრივად დროის დათმობა ან განსაკუთრებით დადებითი ან უარყოფითი გაშუქება, ასევე სიუჟეტების მონტაჟი, თემების შერჩევა, სიუჟეტებში წარმოდგენილი მოსაზრებების ბალანსი და ა.შ., მაინც შესამჩნევი იყო არხების პოლიტიკური მიკერძოება. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და პრეზიდენტის უარყოფითი წარმოჩენით ყველაზე მეტად მეცხრე არხი გამოირჩეოდა. ეს ტენდენცია უფრო ნაკლებად შეიმჩნეოდა პირველი არხზე, იმედზე, კავკასიასა და მაესტროზე, თუმცა უარყოფითი გაშუქება ამ სუბიექტების მიმართ აქაც დაფიქსირდა. რუსთავი 2 იგივე სუბიექტებს ამ პერიოდში როგორც დადებითად, ისე უარყოფითად აშუქებდა.

ბაგრატის ტაძრის UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიიდან ამოღების საკითხი

16 ივნისი - 16 ივლისის პერიოდში ერთ-ერთი აქტუალური საკითხი ბაგრატის ტაძრის UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან ამოღება იყო, რომელიც 19 ივნისს მონიტორინგის ქვეშ მყოფი ექვსი არხის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქდა. აჭარის ტელევიზიამ თავის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში აღნიშნული თემა საერთოდ არ აჩვენა.

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის ქვეშ მყოფმა სატელევიზიო არხებმა, უმეტესად, ერთი და იგივე რესპონდენტები გამოიყენეს, ეს მოვლენა სხვადასხვა კუთხით გააშუქეს და განსხვავებულ დეტალებზე გააკეთეს აქცენტი. არცერთ არხს თავის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ გაუკეთებია იმის განმარტება, თუ რა მოხდებოდა მას შემდეგ, რაც UNESCO ბაგრატის ტაძარს მსოფლიო მემკვიდრეობის სიიდან ამოიღებდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის **პირველი არხის** 8 საათიანი „მოამბის“ სიუჟეტი, „იუნესკოს გადაწყვეტილება“, მეტნაკლებად აწვდიდა მაყურებელს ბაგრატის ტაძრის გარშემო მომხდარ ამბებზე ინფორმაციას. საშუალება გვქონდა მოგვესმინა სხვადასხვა მხარის პოზიცია და მოსაზრება. მთლიანობაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემაში ნაკლებად შეიმჩნეოდა მიკერძოებულობა რომელიმე მხარისადმი, რასაც ვერ ვიტყოდით კონკრეტული კერძო არხების შემთხვევაში. ამ მხრივ, ორ განსხვავებულ შემთხვევად შეიძლება რუსთავი 2 და მეცხრე არხი გამოვყოთ.

რუსთავი 2-ის სიუჟეტის, „ბაგრატის ვერდიქტი“, დასაწყისშივე მაყურებელს ფაქტის სახით მიეწოდა ის, რომ კულტურის სამინისტრომ მცდარი ინფორმაცია გაავრცელა. რეალურად, ბაგრატის ტაძარი UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებიდან ამოღებული არ ყოფილა და კვლავაც სიაში რჩებოდა. სიუჟეტში, ასევე, ხშირად გაესვა ხაზი იმ ფაქტს, რომ კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა კამბოჯაში გამართულ UNESCO-ს 37-ე სესიაზე დააგვიანეს და ბაგრატის ტაძრის საკითხის განხილვას ვერ დაესწრნენ. მართალია, ნაჩვენები იყო კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის და საგარეო საქმეთა მინისტრის კომენტარები, თუმცა თავად ჟურნალისტის ტექსტი უარყოფით კონტექსტს სძენდა მათ ინტერვიუებსაც.

კულტურის სამინისტროს და საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიმცდარის დასამტკიცებლად ორჯერ იყო ნაჩვენები პეტია ტოტჩაროვას (იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ევროპის დეპარტამენტის უფროსი) კომენტარი, რომელიც ადასტურებდა, რომ ტაძარი სიაში რჩებოდა და კომისიაზე არც კი განხილულა ბაგრატის ტაძრის ამოღების საკითხი. მთლიანობაში, მკვეთრად უარყოფითად წარმოჩინდა საქართველოს კულტურის სამინისტრო, რომელიც დადანაშაულებული იყო მცდარი ინფორმაციის გავრცელებასა და მნიშვნელოვან კონფერენციაზე დაგვიანებაში.

მეცხრე არხის შემთხვევაში კი მაყურებელს უარყოფითი შთაბეჭდილება ყოფილ ხელისუფლებაზე ექმნებოდა. საღამოს საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტის, „იუნესკოს გადაწვყეტილება“, დასაწყისშივე ჟურნალისტმა უკვე დადასტურებულ ფაქტად მოგვაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბაგრატის ტაძარი ამოღებული იყო მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიიდან და საფრთხე ემუქრებოდა გელათსაც. სიუჟეტის მიხედვით UNESCO-ს ეს გადაწყვეტილება ბაგრატზე ჩატარებული სარემონტო სამუშოების შედეგი იყო. რუსთავი 2-ის მსგავსად, მეცხრე არხზეც ნაჩვენები იყო განსხვავებული მოსაზრებები. თუმცა, ჟურნალისტის ტექსტი და კომენტარების თანმიმდევრობა მაყურებელს დადასტურებულ ინფორმაციად წარმოუდგენდა ბაგრატის ტაძრის სიიდან სიიდან ამოღებას. ამასთან, სიუჟეტში ბაგრატის ტაძრის ამოღების ფაქტი დაკავშირებული იყო ყოფილ ხელისუფლებასთან და მის მიერ განხორციელებულ რეკონსტრუქციასთან, რომლის იდეაც პრეზიდენტს ეკუთვნოდა, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად წარმოაჩენდა მათ. მიუხედავად იმისა, რომ ნაჩვენები იყო ნიკა რურუას კომენტარი, რომელიც საუბრობდა სამინისტროს მხრიდან დეზინფორმაციაზე, ჟურნალისტის ირონიული ტექსტი ყოფილი მთავრობის წევრს უარყოფით კონტექსტს უქმნიდა.

მართალია, სიუჟეტში ერთხელ აღინიშნა ქართული დელეგაციის დაგვიანების ფაქტი, თუმცა ჟურნალისტმა, გარკვეულწილად, გაამართლა ეს და აღნიშნა, რომ დაგვიანება ტექნიკური პრობლემების გამო მოხდა და დელეგაციის დასწრებას არც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რადგან საკითხი განხილვის გარეშე დამტკიცდა. შედარებით დადებითი აქცენტები კეთდებოდა ახალ მთავრობაზე, რომელიც უნდა შეეცადოს და გელათის კომპლექსი მაინც შეინარჩუნოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

19 ივნისის **იმედზე** ბაგრატის ტაძრის შესახებ სიუჟეტი გადაცემის ბოლოსკენ, კულტურის ამბების ნაწილში გავიდა. სიუჟეტში „ბაგრატის ტაძარი: UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის სიიდან ამოღებული ტაძარი - კომენტარები“ ბაგრატის ტაძრის სიიდან ამოღებას, როგორც ფაქტს ისე აწვდიდნენ მაყურებელს. თუმცა, სიუჟეტში ნათქვამი იყო ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციებიც და აღნიშნული იყო ქართული დელეგაციის სესიაზე დაგვიანებაც. მთლიანობაში, სიუჟეტში წარმოდგენილი იყო როგორც ახალი, ასევე ყოფილი ხელისუფლების პოზიციები და ნაკლებად იგრძნობოდა რომელიმე კონკრეტული მხარისადმი მიკერძოებულობა.

მაესტროს სიუჟეტში „ბაგრატის ტაძარი: UNESCO-ს საბოლოო გადაწყვეტილება ამ ეტაპზე უცნობია“ ნაკლებად შეიმჩნეოდა მიკერძოებულობა რომელიმე მხარისადმი და ამბავი სხვადასხვა კუთხით იყო განხილული. თუმცა, უარყოფითად იყო შეფასებული ბაგრატის ტაძარზე გაკეთებული რეკონსტრუქცია, რასაც ისტორიკოსისა და ხელოვნებათმცოდნის კომენტარებიც ამყარებდა. საინტერესოა, რომ სხვა არხებისგან განსხვავებით მაესტროზე ჟურნალისტი საუბრობდა იმაზე, რომ ხელისუფლება გააკეთებდა ყველაფერს ბაგრატის მსოფლიო ძეგლთა მემკვიდრეობის სიაში დარჩენის მიზნით. სიუჟეტში აღინიშნა UNESCO-ს 37-ე სესიაზე ქართული დელეგაციის დაგვიანების ფაქტიც.

კავკასიაზე საღამოს საინფორმაციო გამოშვების მიხედვით ბაგრატის ტაძრის სიიდან ამოღების საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო და ახლა გელათის სიაში შენარჩუნებაზე უნდა დაწყებულიყო მუშაობა. სიუჟეტი ნაკლებად ინფორმაციული იყო, რადგან მაყურებელს უკვე ფაქტის სახად მიეწოდა ტაძრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებიდან ამოღება და არ ყოფილა თვითონ UNESCO-ს წარმომადგენლის კომენტარი ამ საკითხზე. სხვა არხებისგან განსხვავებით, კავკასიაზე არ იყო წარმოდგენილი კულტურის ყოფილი მინისტრის, ნიკა რურუას ინტერვიუ. სიუჟეტში კი ძველი ხელისუფლება უფრო უარყოფითად იყო წარმოჩენილი, რომელმაც UNESCO-ს გაფრთხილების მიუხედავად დაიწყო ტაძრის სარემონტო სამუშაოები და ბაგრატის ტაძარს ისტორიული იერსახე შეუცვალა. სიუჟეტში საერთოდ არ იყო ნახსენები ქართული დელეგაციის კამბოჯაში UNESCO-ს სესიაზე დაგვიანების ფაქტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ არხებზე ბაგრატის ტაძრის სიიდან ამოღების ზუსტი თარიღი არ იყო დასახელებული და განსხვავებული ვარიანტები განიხილებოდა: პირველ არხზე ტაძარი გაურკვეველი ვადით რჩებოდა სიაში გელათის ტაძრის გამო, თუმცა აქვე ოფიციალური ამოღების თარიღად დასახელდა 2015 წელიც, მეცხრე არხზე - 2014 წელი. რუსთავი 2-ის მიხედვით ტაძარი არც ამოუღიათ სიიდან, იმედის შემთხვევაში ბაგრატი ამოღებულია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებიდან და ზუსტი თარიღი 2 კვირაში გაირკვევა. მაესტროზე - 2014 წელი და კავკასიის მიხედვით ტაძარი სიაში რჩებოდა მანამ, სანამ გელათის კომპლექსის საკითხი არ გადაწყდებოდა.

საბოლოო ჯამში, ექვსი არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვების აღნიშნული სიუჟეტების ყურების შედეგად გაურკვეველი დარჩებოდა რეალურად რა მოხდა, ამოიღებენ თუ არა ბაგრატის ტაძარს სიიდან, რატომ დაიგვიანა ქართულმა დელეგაციამ UNESCO-ს სესიაზე, რამდენად შესაძლებელია და რა უნდა გაკეთდეს ბაგრატის სიაში შენარჩუნებისათვის და რა მოხდება ტაძრის საფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებიდან ამოღების შემთხვევაში. ასევე, ბუნდოვანი იყო გელათისა და მცხეთის საკითხი, რომლებიც ზოგიერთი არხის მიხედვით რჩებოდნენ სიაში, სხვების თვალსაზრისით კი საფრთხე მათაც ექმნებოდა.